საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Asistance of (Statutory) Victims of Human Trafficking

KA030898655657919

№ 07/250 **26 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ნინო ოდიშარიას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2019 წლის 20 თებერვლის No01/2851 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის # 1511/4-2/19 წერილს, „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, წარმოგიდგენთ წინამდებარე ინფორმაციას:

1. სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან დაკავშირებით (მე-7 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი (გვ25)), რომელიც ეხება ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ბენეფიციართა გაძლიერებასა და ფსიქოლოგიურ–სოციალურ რეაბილიტაციას, გაცნობებთ, რომ 2017 წელს მომზადდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სახელმძღვანელო, - აღნიშნული სახელმძღვანელოს შესაბამისად, გადამზადნენ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ფსიქოლოგები, რის შემდეგაც სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული რეაბილიტაციის მეთოდები და ინსტრუმენტები დაინერგა პრაქტიკაში და განხორციელდა ფსიქოლოგიური მომსახურების სტანდარტიზება როგორც ფონდს დაქვემდებარებულ თავშესაფრებში, ასევე კრიზისულ ცენტრებში. 2018 წელს, სტანდარტიზების პროცესის უკეთ უზრუნველსაყოფად, ასევე განხორციელდა პროცესში ჩართული ფსიქოლოგების სუპერვიზია და უკუკავშირის მიწოდება. გარდა ამისა, ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სოციალური მუშაობის მომსახურების ეფექტიანობის გასაზრდელად, შეიქმნა სოციალური მუშაობის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ფონდის მომსახურების დაწესებულებებში (თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში) სოციალური მუშაობის კონცეფციასა და მომსახურების მეთოდოლოგიას ბენეფიციარისათვის სოციალური მუშაკის მომსახურების თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად მისაწოდებლად. აღნიშნული პროცესის ფარგლებში გადაიხედა და დაიხვეწა ბენეფიციართა შეფასების ფორმები, შემთხვევის მართვის გეგმები, შემუშავდა სოციალური მუშაკისათვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო მოდულები; ასევე გაიწერა მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის კონცეფცია და მისი მუშაობის გზამკვლევი. აღნიშნული სახელმძღვანელოს შესაბამისად გადამზადნენ როგორც ფონდის სოციალური მუშაკები,

ასევე სპეციალური ტრენინგი გაიარეს მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებმაც (ფსიქოლოგი, იურისტი) - აღნიშნული კომპლექსური მიდგომის დანერგვა ფონდის თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში 2018 წლიდან დაიწყო. ბენეფიციართა გაძლიერების მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ფონდმა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიმუშავა მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტს, ბენეფიციართა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით. 2018 წლიდან ფონდი გაეროს ორგანიზაციიდან მიღებული საგრანტო პროექტის მხარდაჭერით უზრუნველყოფს ბენეფიციარებისთვის პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსებას და მათ გაძლიერებას. კერძოდ, ფონდმა შეისყიდა მზარეულის პროფესიული გადამზადების კურსი (გაიარა 6 ბენეფიციარმა), ასევე დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესავალი კურსი (გაიარა 20 ბენეფიციარმა); ეფექტური მომსახურებისა და ეფექტური გაყიდვების შესავალი საბაზისო კურსი (გაიარა 20 ბენეფიციარმა).

ამ ეტაპზე ფონდი თანამშრომლობს 12 არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც სპეციალიზებულ სერვისებს აწოდებენ ჩვენს ბენეფიციარებს ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო და დასაქმების მიმართულებით. გარდა ამისა, ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისა და დასაქმების კუთხით ვთანამშრომლობთ კერძო სექტორის 20-ზე მეტ წარმომადგენელთან როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. 2017-2018 წლებში თავშესაფრების დახმარებით სულ დასაქმდა 74 ზრდასრული, შრომისუნარიანი ბენეფიციარი, გარდა ამისა, ფონდის არასამთავრობო, კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის შედეგად პროფესიული კუთხით გადამზადდა 51 ბენეფიციარი.

2. სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან (მე-7 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი (გვ25)) დაკავშირებით, რომ მაქსიმალურად უნდა დაიხვეწოს თავშესაფრების ბენეფიციართა მიერ შესაბამისი სერვისებით სარგებლობა და უზრუნველყოფილი იყოს თავშესაფრების პერსონალის მუდმივი გადამზადება, მოგახსენებთ, რომ ფონდი მაქსიმალურად ცდილობს ბენეფიციარებს შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა სახის რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ხელშემწყობი მომსახურებები. ფონდმა განავითარა სპეციალიზებული მიდგომები. კერძოდ, 2017 წლის ბოლოს ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ფონდის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ფსიქოლოგებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობითაც მოხდა თავშესაფრებში ფსიქოლოგიური მომსახურების სტანდარტიზება. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით გადამზადდნენ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ფსიქოლოგები, რის შემდეგაც სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული რეაბილიტაციის მეთოდები და ინსტრუმენტები დაინერგა პრაქტიკაში. გარდა ამისა, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობითა ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური მხარდაჭერის გასაძლიერებლად შეიქმნა სოციალური მუშაობის სახელმძღვანელო, გადაიხედა და დაიხვეწა თავშესაფრების ბენეფიციართა შეფასების ფორმები, შემთხვევის მართვის გეგმები და მოხდა თავშესაფრის პერსონალის გადამზადება მათი პრაქტიკაში გამოყენების კუთხით. 2018 წელს, ზემოაღნიშნული ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოებში მოხდა ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშობის სპეციფიკური საკითხების ინტეგრირება. ფონდის ინიციატივით, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარდა რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი სასწავლო კურსი, ფონდის სოციალური მუშაკების უნარ–ჩვევების გასაძლიერებლად შშმ ზრდასრულ მსხვერპლთან/დაზარალებულთან, ფსიქიკური პრობლემების მქონე ბენეფიციარებთან და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ მოზარდებთან სამუშაოდ. სერვისების დახვეწის მიზნით ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, სოციალური მუშაობის და ეკონომიკური გაძლერების მიმართულებით დამატებითი ინფორმაცია იხ. 1-ელ პუნქში.

უფრო ვრცლათ გთავაზობთ იმ ტრენინგების სრულ ჩამონათვალს, რომლებიც ფონდის თანამშრომლებმა 2018 წელს გაიარეს:

29-30 იანვარს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) ორგანიზებით ფონდის ცენტრალური აპარატის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,სოციალური მუშაობის კონცეფცია, სოციალური მუშაობის მეთოდები, მონიტორინგის კონცეფცია“ (მონაწილეთა რაოდენობა-5);

08 – 10 თებერვლი, - ფონდსა და „სოციალურ მუშაკთა ასოციაციას“ (GASW) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის სოციალური მუშაკებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: “სარეაბილიტაციო მოდულის სიმულაციები" (მონაწილეთა რაოდენობა –7);

01-04 მარტს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ,,გავერთიანდეთ ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე: ,,კომუნიკაციისა და უკუკავშირის, ასევე ქოუჩინგის და მენტორინგის საბაზისო უნარების კურსი“ (მონაწილეთა რაოდენობა-10);

02 - 03 აპრილს, საინფორმაციო სამედიცინო ცენტრის ,,თანადგომა“ მიერ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, ფონდის ცენტრალური აპარატის და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და აივ ინფექციის საკითხები“. (მონაწილეთა რაოდენობა-13);

11 აპრილს, ფონდის იურისტის მიერ სტრუქტურული ერთეულის (გორის თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი შიდა მარეგულირებელ აქტებთან დაკავშირებით (მონაწილეთა რაოდენობა- 5);

25-26 აპრილს, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების მიერ, პროექტის ,,ესტონურ-ქართული ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანება ქალთა და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერისთვის აჭარის რეგიონში“ ფარგლებში, ფონდის სტრუქტურული ერთეულის (ბათუმის თავშესაფარი) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოძიება“ (მონაწილეთა რაოდენობა-2);

03-04 მაისს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, შვედეთის სტატისტიკის ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით, ,,საქსტატსა და შვედეთის სტატისტიკის ბიუროს შორის გაფორმებული პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებისათვის“ (ესწრებოდა ფონდის 1 თანამშრომელი);

10-11 მაისს, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) მიერ ფონდის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (TOT) თემაზე: ,,სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები“ (მონაწილეთა რაოდენობა-4);

16 მაისს, ფონდის იურისტის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად, მარტყოფის შშმპ პანსიონატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე; ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის მხარდაჭერის გაწევა'' (მონაწილეთა რაოდენობა-17);

18 მაისს, ფონდის იურისტის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად, ძევრის შშმპ პანსიონატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე; ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის მხარდაჭერის გაწევა (მონაწილეთა რაოდენობა-16);

22 მაისს, ფონდის იურისტის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად, დუშეთის შშმპ პანსიონატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე; ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის მხარდაჭერის გაწევა'' (მონაწილეთა რაოდენობა-6);

08-12 ივნისს, ასოციაცია ,,მერკურის“ მიერ, პროექტის ,,ოჯახში ძალადობის პრევენციის სისტემის გაძლიერება და ძალადობის მსხვერპლთა დაცვა საქართველოში“ ფარგლებში (თანადაფინანსებული პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო) ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა მხარდაჭერა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ჯგუფური ფორმები“ (ესწრებოდა ფონდის 3 თანამშრომელი);

19-20 ივნისს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) და იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით ფონდის ცენტრალური აპარატის და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,უწყებათაშორისო კოორდინაციის მნიშვნელობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში“ (მონაწილეთა რაოდენობა-12);

23 ივნისს, ა/ო ,,ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) მიერ ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვუს ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ტრანსგენდერული იდენტობა და გენდერული დისფორია სექსოლოგიის პერსპექტივიდან“ (მონაწილეთა რაოდენობა-6);

26-28 ივნისს, ''Global Rights for Women'' წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენერთა ტრენინგი თემაზე: ,,ოჯახში ძალადობის რისკების შეფასება საქართველოში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფონდის ცენტრალური აპარატის 3 თანამშრომელმა;

27-29 ივნისს, ა/ო ,,საინფორმაციო-სამედიცინო ცენტრი ,,თანადგომის' მიერ ფონდის ცენტრალური აპარატის და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,ოჯახის დაგეგმვის მეთოდები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და აივ ინფექციის საკითხებზე საგანმანათლებლო მუსაობის უნარების შეძენა“ (მონაწილეთა რაოდენობა-13).

17-19 ივლისს, ფონდის USAID-ის საგრანტო პროექტის ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: ,,სოციალური მუშაობის პასუხი გენდერის ნიშნით ძალადობაზე“, რომელსაც ესწრებოდა ფონდის 6 თანამშრომელი.

03 – 05 აგვისტო, ფონდის "USAID"-ის საგრანტო პროექტის ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში, ფონდის სტრუქტურული/ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებისა და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრეინინგი თემაზე: “სახელმწიფო ფონდის ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა“(მონაწილეთა რაოდენობა –37);

11 ოქტომბერს, ა/ო MAC GEORGIA-ს მიერ ფონდის ტერიტორიული ერთეულის (მარტყოფის შშმ პანსიონატი) თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,,ოკუპაციური თერაპიის

სერვისები“ (სენსორული სტიმულაციისათვის განკუთვნილი მასალების განხილვა, შშმ პირთათვის უნარ-ჩვევების პოტენციის სწორად მართვა) (მონაწილეთა რაოდენობა-16);

20-21 ოქტომბერს და 06-07 დეკემბერს, საქსტატის მიერ ჩატარდა ტრენინგი გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებისთვის. ესწრებოდნენ ფონდის თანამშრომლები (მონაწილეთა რაოდენობა-3);

22-24 ოქტომბერს, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის და სტეფან ბატორის ფონდის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების და ამ თემაზე მომუშავე სხვა სპეციალისტებისთვის ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირების სარეაბილიტაციო პროგრამის ,,ატლანტისი“ შესახებ, რომელსაც ესწრებოდა ფონდის 2 თანამშრომელი;

02-03 ნოემბერს, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ ცხელი ხაზის ოპერატორებისთვის ,,ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირება“ პროექტის ,,ბავშვთა რეფერირების პროცედურების იმპლემენტაციის ხელშეწყობა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ნეგატიური სოციალური ნორმების ცვლილებისკენ მიმართული საკომუნიკაციო კამპანია” ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა ფონდის 4 თანამშრომელი;

03-07 დეკემბერს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ფონდის პროექტის ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრენეცია“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ფონდის სტრუქტურული ერთეულების ფსიქოლოგებისთვის (შეიქმნა სახელმძღვანელო ,,ბავშვებისა და შშმ პირების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია“). (მონაწილეთა რაოდენობა-7);

18 დეკემბერს, შპს ,,ელ+“-ის მიერ, ILO-OSH 2001 სტანდარტების პროგრამის ფარგლებში, ფონდის ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე ,,სახანძრო უსაფრთხოება“ (მონაწილეთა რაოდენობა-19);

22-23 და 25-26 დეკემბერს, ფონდის პროექტის (UN WOMEN) ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციის”ფარგლებში, შპს საქართველოს იურისტთა უმაღლესი სკოლის მიერ ფონდის სტრუქტურული და ცენტრალური აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი სოგიე (ლგბტ) თემაზე (მონაწილეთა რაოდენობა-48).

2019 წელს ფონდის თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

თებერვალში, ფონდის თანამშრომლებმა გაიარეს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი სპეციალური სასწავლო კურსი “ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება" (სოციალური მუშაობის სახელმძღვანელო, რომელშიც ინტეგრირებულია არასრულწლოვნების და შშმ პირებისათვის სერვისების მიწოდების პრინციპები), (მონაწილეთა რაოდენობა -30);

3. რაც შეეხება სახალხო დამცველის რეკომენდაციას (მე-7 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი (გვ25)), თავშესაფრების ფიზიკური გარემოს დახვეწა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურებისთვის და შენობების ადაპტირება სავალდებულო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით, მოგახსენებთ, რომ თავშესაფრები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ადაპტირება მიახლოებული იყოს სავალდებულო სტანდარტებთან, რამდენადაც შენობები ამის შესაძლებლობას იძლევა. ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, ფონდი მზად არის შშმ პირები უზრუნველყოს დამატებითი მომსახურებებით, რომლებიც განპირობებული იქნება მათი საჭიროებებით, რათა მიღწეულ იქნეს მათ მიერ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უწყვეტობა. აქვე მოგახსენებთ, რომ 2019 წელს იგეგმება თავშესაფრების სივრცის ადაპტირება უსინათლოებსა და მცირემხედველთა საჭიროებებზე სპეციალური ტაქტილური ბილიკების, ბრაილის შრიფტითაა დამზადებული სანავიგაციო რუკებისა და მიმართულების აღმნიშვნელი მანიშნებლების საშუალებით.

4. რაც შეეხება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს (მე-7 პუნქტის „ღ“ და „წ“ ქვეპუნქტები (გვ26-27გვ)), ოჯახში ძალადობისა და უგულებელყოფის მსხვერპლი ბავშვებისთვის ადეკვატური ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურების შეთავაზებასთან და უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვის პროცესში ჩართული პირების სისტემატური გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის თავიდან აცილებისა და იდენტიფიცირების, ბავშვის რთული ქცევის მართვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე; მათი საჭიროებების შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ, 2018 წლის ბოლოს ფონდის მიერ შემუშავებული სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოში (იხ. 1-ელ და მე-2 პუნქტებში მოცემული ინფორმაცია) ინტეგრირებულია არასრულწლოვნებთან და შშპ პირებთან მუშაობის სპეციფიკა, აღნიშნული სახელმძღვანელოს შესაბამისად ფონდის ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა გაიარეს სპეციალური სასწავლო კურსი. ასევე შევნიშნავთ, რომ ფონდი 2019 წელს გეგმავს საპილოტე რეჟიმში ბავშვთა ფსიქოლოგის დამატებას თბილისის კრიზისულ ცენტრში.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მერი მაღლაფერიძე